



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
G E O R G I A

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 3649/01
12/04/2022

3649-01-2-202204121648



სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურის“
პროექტის მენეჯერს
ბატონ ბარი ფოლკს

მის: ქ. ფოთი, დ. აღმაშენებლის ქ. N52

ბატონო ბარი,

2022 წლის 29 მარტს თქვენ მიერ წარმოდგენილ წერილთან (სამინისტროს რეგისტრაციით N7241) დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

სს „კორპორაცია ფოთის საზღვაო ნავსადგურს ახალი ღრმაწყლოვანი მრავალფუნქციური ნავსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის“ პროექტზე გზშ-ის ანგარიშის მომზადება დაევალა N68 (29.07.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად. N68 სკოპინგის დასკვნაში განისაზღვრა ყველა ის ძირითადი საკითხი, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო გზშ-ის ეტაპზე. სკოპინგის დასკვნით სხვადასხვა საკითხებთან ერთად, მათ შორის მოთხოვნილი იყო: საკვლევ უბანზე ტალღური რეჟიმის დეტალური ანგარიში; ტალღური ზემოქმედების მათემატიკური მოდელი და შესაბამისი დასკვნა, რამდენად უზრუნველყოფს დაგეგმილი, ასევე ძველი (არსებული) პორტის უსაფრთხო ექსპლუატაციას წარმოდგენილი შემომზადებული ნაგებობების კონფიგურაცია და შერჩეული მისასვლელი არხის განლაგება; პორტის მშენებლობის შემდეგ სანაპირო ზოლის მოსალოდნელი მორფოდინამიკური პროცესების განვითარების პროგნოზი (მათ შორის მდ. რიონის შესართავთან) და სხვ. (სკოპინგის დასკვნის 4.2 თავის ი 1, 2 და 4 პუნქტები).

აღნიშნულ საქმიანობაზე, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით განცხადება კომპანიის მიერ წარმოდგენილ იქნა 2021 წლის 18 მაისს. სამინისტრომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისა და შესაბამისი დასკვნის მომზადების მიზნით, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა. ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, გზშ-ის ანგარიში განიხილეს

საზოგადოებრივმა ექსპერტებმა და ექსპერტიზის პროცესში ჩართულმა სპეციალისტებმა, რის საფუძველზეც წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან მიმართებით გამოიკვეთა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ინფორმაციის/დოკუმენტაციის დაზუსტების და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის საჭიროება. შესაბამისად, სამინისტრომ წერილობით მიმართა კომპანიას და მოითხოვა მითითებული საკითხების დაზუსტება (N7808/01; 23/07/2021).

ხარვეზები ეხებოდა, როგორც გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვისას საექსპერტო კომისიის წევრების მიერ გამოვლენილ, ისე N68 სკოპინგის დასკვნით განსაზღვრულ საკითხებს (რომელიც არ იყო სრულყოფილად გათვალისწინებული გზშ-ის ანგარიშში). სამინისტროს მიერ კომპანიისთვის გაგზავნილ 23 ივლისის N 7808/01 წერილში სხვადასხვა საკითხებთან ერთად მითითებული იყო შემდეგი:

- გზშ-ის ანგარიშში დაზუსტებას საჭიროებდა შემომზადები ნაგებობის, ზეგავლენა მდ. რიონის შესართავის ფორმირებაზე. მოცემული უნდა ყოფილიყო შესაბამისი მორფოდინამიკური პროცესების განვითარების პროგნოზი (სკოპინგის დასკვნა 4.2 თავი).
- დასაზუსტებელი იყო საანგარიშო გემის ე.წ. „ზაფხულის ჯდომა“ (სასურველია ტერმინის განმარტება), რომელიც საკონტინერო გემებისთვის შეადგენს - 14,5 მეტრს, ნავმისადგომებთან საპროექტო სიღრმე კი - 15 მეტრს. დაზუსტებას საჭიროებდა ასევე, რამდენად საკმარისია 0,5 მ სხვაობა ფსკერის და გემის ძირის შორის უსაფრთხო განტვირთვა - ჩატვირთვის ოპერაციების განსახორციელებლად და ა.შ.

დასაზუსტებელი იყო ასევე, მშენებლობა-ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქნილი ჩამდინარე წყლების მართვის საკითხები, ხოლო წყალმომარაგებასთან დაკავშირებით მითითებული იყო გაურკვეველი ინფორმაცია - მდ. რიონზე წყალმიმღები ნაგებობის მოწყობის შესახებ. ხარვეზები დადგინდა ასევე ბიომრავალფეროვნებაზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების მიმართულებითაც, მათ შორის გამოიკვეთა სკოპინგის დასკვნით მოთხოვნილი საკითხები, რომელიც არ იყო გათვალისწინებული გზშ-ის ანგარიშში, მაგ: ზუთხისებრებზე პროექტით გამოწვეულ შესაძლო ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია და ქმედითი შემარბილებელი, ზემოქმედების თავიდან აცილების და/ან საკომპენსაციო ღონისძიებები. ამასთან, სამინისტრომ მოითხოვა გადამუშავებული, სათანადო კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ბიომრავალფეროვნების ნაწილის წარმოდგენა.

კომპანიის მიერ 2021 წლის 5 ოქტომბერს წარმოდგენილ იქნა დაზუსტებული დოკუმენტაცია გზშ-ის ანგარიშთან დაკავშირებით, რომელიც დამატებით იქნა შესწავლილი საექსპერტო კომისიის მიერ. შესწავლის საფუძველზე კვლავ დადგინდა, რომ სამინისტროს მოთხოვნის მიუხედავად, სრულყოფილად არ იყო გათვალისწინებული 2021 წლის 23 ივლისის N7808/01 წერილში მითითებული სხვადასხვა საკითხები. აღნიშნულის შესახებ განმეორებით წერილობით ეცნობა კომპანიას (N11682/01 10/11/2021) და განესაზღვრა 3 თვიანი ვადა სრულყოფილი ინფორმაციის წარმოსადგენად. წერილში სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მოთხოვნილი იყო:

- დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს ახალი მოლოს მშენებლობის შემთხვევაში სანაპირო ზოლის განვითარების მოსალოდნელი სცენარები (ნამახვანის ჰესის მშენებლობის შემთხვევაში და ასევე არსებული ვითარებისათვის) და ამ ცვლილების გავლენა სანაპიროს მომიჯნავე უბნებზე. ასევე მოცემული უნდა იყოს მდ. რიონის შესართავის მოსალოდნელი ცვლილება და მისი გავლენა მდინარის ნაპირების მდგრადობაზე (**აღნიშნული საკითხების საჭიროების შესახებ მითითებული იყო როგორც (N7808/01; 23/07/2021 წერილში, ასევე სკოპინგის დასკვნის 4.2 ქვეთავის შესაბამის პუნქტებში**);
- დამატებითი მორფო-დინამიკური კვლევის ჩატარება რიონი-ვარდნილის შესართავის, მოლოს აშენების შემთხვევაში. შესაბამისი პროგრამების (mike 21, mike 3) სიმულაციების შედეგად შესაძლებელია განისაზღვროს მოლოს ოპტიმალური კონფიგურაცია, მიმართულება და კონსტრუქცია. აღნიშნული პროგრამებით შესაძლებელია განისაზღვროს ასევე ტალღური ზემოქმედება ხელოვნურ ნაგებობებზე (**სკოპინგის დასკვნა ქვეთავები 4.2 და მე-5**);
- დასაზუსტებელია და წარმოდგენილი უნდა იყოს პორტის სამანევრო აკვატორიის დიამეტრის და ნავმისადგომთან საპროექტო სიღრმის გაანგარიშება, შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მითითებით (**აღნიშნული შენიშვნა მომზადებულ იქნა გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, გარდა ამისა ეს საკითხი მოთხოვნილი იყო (N7808/01; 23/07/2021 წერილით)**);
- არსებულ და საპროექტო ნავსადგურებს შორის დარჩენილ სანაპირო ზოლზე გავლენა უნდა შეფასდეს შესაბამისი კვლევებით. პორტის აკვატორიაში, საპროექტო უბანზე და მის მიმდებარე წყალქვეშა ფერდობზე მოსალოდნელი ტალღური რეჟიმის პროგნოზს იძლევა მათემატიკური ან ფიზიკური მოდელირება, რაც არ არის წარმოდგენილი (**სკოპინგის დასკვნა 4.2 და მე-5 ქვეთავი**);

რაც შეეხება ბიომრავალფეროვნების ნაწილს, წერილში აღინიშნა, რომ ბიომრავალფეროვნებასთან დაკავშირებით მოცემული შენიშვნები და კომენტარები კვლავ არ იყო სათანადოდ დასაბუთებული და საჭიროებდა გადამუშავებას, მითითებული შენიშვნების შესაბამისად. **კომპანიისთვის გაგზავნილ წერილში ხაზგასმით აღინიშნა, რომ სრულყოფილი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენლობა გახდება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საფუძველი.**

წარმოდგენილი პროექტის მნიშვნელობის გათვალისწინებით, დასაზუსტებელ საკითხებთან დაკავშირებით, პერმანენტულად იმართებოდა კონსულტაციები კომპანიასა და სამინისტროს შორის, სადაც სამინისტრო მკაფიოდ აფიქსირებდა მოთხოვნილი საკითხების მნიშვნელობას, ხოლო კომპანია გამოთქვამდა მზაობას წამოჭრილი საკითხების დაზუსტებასთან დაკავშირებით.

კონსულტაციების ბოლო ეტაპზე, სამინისტრომ კვლავ დააფიქსირა ის საკითხები, რომლის დაზუსტებას ადმინისტრაციული წარმოების დასაწყისში ითხოვდა და არ იყო დაზუსტებული, მათ შორის აღსანიშნავია: სამანევრო აკვატორიის ზომები, ასევე ნავმისადგომთან სიღრმის ანგარიში. ამ სიდიდეების დაზუსტებას დიდი მნიშვნელობა

აქვს ფსკერდარმავებითი სამუშაოების რეალური მოცულობების დასადგენად; ამასთან, საჭიროა მოლის ადგილმდებარეობის და მიმართულების ფიზიკური მოდელირების ჩატარება და ნაბადის დელტის განვითარების მოსაზრებების კომპიუტერული პროგრამით განსაზღვრა. სამინისტროს მიერ ადმინისტრაციული წარმოების დაწყებისთანავე იქნა იდენტიფიცირებული სამანევრო აკვატორიის სიდიდის განმარტების აუცილებლობა, თუმცა პასუხად გვეცნობა, რომ სამინისტროს კომპეტენციაში აღნიშნული საკითხის განხილვა არ შედის. ჩვენ დავიტოვეთ უფლება თავად დაგვედგინა ჩვენი კომპეტენციის ფარგლები და არაერთხელ, მოვითხოვეთ სამანევრო აკვატორიის ზომის დასაბუთება. განმარტებისთვის, გემის მობრუნების ადგილის (სამანევრო აკვატორიის) პარამეტრებს (ზომას) დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ზოგადად ნავიგაციის უსაფრთხოებისათვის, ასევე საპროექტო ნავმისადგომის ფსკერდარმავებითი მოცულობის ზუსტი სიდიდის დასადგენად. როგორც კომპანიასთან კომუნიკაციის დროს გამოვლინდა, გზმ-ის ანგარიშში მოცემული სამანევრო აკვატორიის ზომები დასაშვებია, მხოლოდ გარკვეული პირობების უზრუნველყოფის შემთხვევაში, როგორც არის ქარის შეზღუდული სიჩქარე და აკვატორიაში მოსალოდნელი ტალღური რეჟიმი. შესაბამისად, ლოგიკურია სამინისტროს მოთხოვნა, რომ წარმოდგენილი იყოს ტალღური რეჟიმის კვლევა (მათემატიკური მოდელირების შედეგად), რათა დადგინდეს რამდენად შეესაბამება შეზღუდული სამანევრო აკვატორიის პირობებში მოთხოვნილი ტალღური რეჟიმი მოსალოდნელ ტალღურ რეჟიმს.

სამინისტრომ თავის შენიშვნებში არაერთხელ გაამახვილა ყურადღება ნავსადგურთან საპროექტო სიღრმეზე, რაზეც კომპანიის მიერ არ იქნა წარმოდგენილი სრულყოფილი პასუხი (საპასუხო წერილებში სრულიად უსაფუძვლოდ წარმოდგენილ იქნა პოზიცია, რომ აღნიშნული საკითხი სცილდება სამინისტროს კომპეტენციას და ამაზე მსჯელობა შესაძლებელია მხოლოდ კვალიფიციურ სპეციალისტებთან). ვფიქრობთ არ არის საჭირო ახსნა, თუ რა ზემოქმედება შეიძლება გამოიწვიოს გემების დგომის და მანევრირების არასწორი საექსპლუატაციო პირობების დადგენამ. არაერთი შეხვედრის/კონსულტაციის და მსჯელობის შედეგად, კომპანიამ მიიღო მხედველობაში და ზეპირსიტყვიერად გაიზიარა სამინისტროს დასაბუთება გემების მაქსიმალური ჯდენის 14.5 მეტრიდან 13,5 მეტრამდე შემცირებასთან დაკავშირებით, თუმცა შესაბამისი წერილობითი ინფორმაცია სამინისტროში წარმოდგენილი არ არის. (ხაზგასმას საჭიროებს, რომ აღნიშნული შედეგის მისაღწევად რამდენიმე თვე და ინტენსიური კონსულტაციები გახდა საჭირო).

ასევე, სამინისტრო წარდგენილ შენიშვნებში ითხოვდა პორტის დამხმარე ინფრასტრუქტურის (სახმელეთო საკონტეინერო ტერმინალი) განლაგების მახლობლად, სანაპირო ზოლის მდგრადობის შეფასებას, ახალი ნავმისადგომის მშენებლობის პირობებში. აქაც მსჯელობა გრძელდებოდა რამდენიმე თვე. კომპანიის თავდაპირველი განმარტებით, აღნიშნულ მონაკვეთზე არ არის მოსალოდნელი უარყოფითი მორფოდინამიკური პროცესები და მხოლოდ სამინისტროს დეტალური დასაბუთების შემდეგ ჩატარდა მოდელირება, რომელმაც დაადასტურა სამინისტროს ვარაუდი: ახალი ტალღური რეჟიმის პირობებში მოსალოდნელია სანაპიროს ეროზიული პროცესების განვითარება. სამინისტროს რეკომენდაციებისა და საჭირო კვლევების დროულად განხორციელების შემთხვევაში, სასურველი შედეგი მიღწეული იქნებოდა გაცილებით ადრე.

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ახალი პორტის პირობებში მდ. რიონის შესართავთან მოსალოდნელი სანაპირო ზოლის განვითარების საკითხები. როგორც განხილულ ანგარიშებშია მითითებული, ახალი შემომზღულდავი ნაგებობის განლაგება უმნიშვნელო გავლენას მოახდენს სანაპირო ზოლის განვითარებაზე. შესაბამისად, შემარბილებელ ღონისძიებად შემოთავაზებული იყო მე-7 კმ-ის წყალგამყოფზე წყლის რეგულირების რეჟიმი ე.წ. გრაფიკი. **აღნიშნული ცხადყოფს, რომ კომპანია სრულად ვერ ფლობს ინფორმაციას მდ. რიონის არსებული და მოსალოდნელი რეჟიმის შესახებ. ამდენად, სამინისტროს მოთხოვნაა, რომ ჩატარდეს სანაპირო ზოლის განვითარების მოდელირება ორი საანგარიშო რეჟიმისათვის (ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის შემთხვევაში და ბუნებრივ პირობებში).** მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული კვლევის შედეგები ამ დრომდე სამინისტროში წარმოდგენილი არ არის, შესაძლებელია დასკვნის გამოტანა- **ახალ მოლთან მოსალოდნელია მდ. რიონის მყარი ჩამონადენის აკუმულაცია, რაც სწორ შეფასებას და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვას საჭიროებს.**

როგორც უკვე აღინიშნა, ზემოაღნიშნულ საკითხებს კრიტიკული მნიშვნელობა აქვს გარემოზე ზემოქმედების შეფასების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრისთვის, რის საფუძველზეც გაიცემა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

რაც შეეხება ადმინისტრაციულ წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რამდენადაც თქვენთვის ცნობილია, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის წესსა და პროცედურებს არეგულირებს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“. აღნიშნული კოდექსის შესაბამისად, სამინისტრო ვალდებულია სრულყოფილად გამოიკვლიოს საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა გარემოება, მათ შორის უზრუნველყოს ტექნიკური გადაწყვეტისა და ტექნოლოგიური პროცესებიდან გამომდინარე გარემოზე ზემოქმედების სრულყოფილი შეფასება, მათ შორის მოსალოდნელი ზემოქმედების იდენტიფიცირება. ამასთან, სამინისტრო ვალდებულია იმსჯელოს წარმოდგენილი შემარბილებელი ღონისძიებების საკმარისობა/ადეკვატურობაზე გარემოზე ზემოქმედების შემცირების ან/და შესაძლებლობის შემთხვევაში მისი თავიდან აცილების მიზნით. აღსანიშნავია, ის გარემოებაც, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ ითვალისწინებს საზოგადოების მონაწილეობას და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათ ჩართულობას. აღნიშნული, ერთის მხრივ, უზრუნველყოფს საზოგადოების/დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობას საჯარო განხილვებში, ხოლო მეორე მხრივ, განსაზღვრავს სამინისტროს ვალდებულებას, უზრუნველყოს მათთვის ყველა იმ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა, რაც წარმოდგენილი იქნა კომპანიის მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე.


როგორც აღინიშნა, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად, პასუხისმგებელია საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფასა და ამ მიზნით შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. სს კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ „ახალი ღრმაწყლოვანი, მრავალფუნქციური ნავსადგურის მშენებლობა-ექსპლუატაციაზე“ დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში, უზრუნველყოფილი იქნა შენიშვნების/მოსაზრებების მიღების კანონმდებლობით გათვალისწინებული ვადების განსაზღვრა. ამასთან, დაინტერესებული საზოგადოების მიერ გადაწყვეტილების მიღების

პროცესში ეფექტიანი მონაწილეობის მიზნით, შენიშვნების/მოსაზრებების მიღების დამატებითი ვადები იქნა განსაზღვრული კომპანიის მიერ სხვადასხვა დროს წარმოდგენილი დაზუსტებული დოკუმენტაციების გასაჯაროებისას. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, წარმოდგენილ თუ სამომავლოდ წარმოსადგენ დოკუმენტაციაზე საზოგადოების ინფორმირება (გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობის მიზნით) არის კანონმდებლობით განსაზღვრული ადმინისტრაციული წარმოების ნაწილი და მისი აღქმა როგორც პროცესის გაჭიანურება სამინისტროსთვის დაუსაბუთებელი და მიუღებელია. დამატებით გაცნობებთ, რომ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ ითვალისწინებს გზშ-ს ანგარიშის ნაწილის დასაიდუმლოებას თუ გზშ-ის ანგარიში შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას ან/და პერსონალურ მონაცემს. ასეთ შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელმა შესაბამის განცხადებაში უნდა მიუთითოს აღნიშნული ინფორმაციის დასაიდუმლოების შესახებ. სამინისტრო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში, **შესაბამისი საფუძვლების არსებობის შემთხვევაში**, დადგენილი წესით უზრუნველყოს ამ ინფორმაციის დასაიდუმლოებას. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ პროექტზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში მსგავსი მოთხოვნა კომპანიის მხრიდან არ დასმულა შესაბამისად, **წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის საჯარო.**

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მოთხოვნებიდან გამომდინარე, სამინისტროს მიზანია მაქსიმალურად უზრუნველყოს სახელმწიფოსა და საზოგადოების გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების თანაზომიერი გათვალისწინება საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებული გარემოსდაცვით გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი



მინისტრის მოადგილე

